საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№122 (6348) 11 ოქტომბერი 1990 წელი ხუთშაბათი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ჯემალ დავითის ძე საღინაძე



საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **ჯემალ დავითის ძე საღინაძე** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ.

ჯემალ დავითის ძე საღინაძე დაიბადა 1940 წელს ქალაქ ცაგერში. 1958 წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1964 წელს. იმავე წელს გაიწვიეს სამხედროსავალდებულო სამსახურში.

დემობილიზაციის შემდეგ, 1965-1977 წლებში მუშაობდა ლენტეხისა და ცაგერის რაიონების საშუალო სკოლებში (ჩოლური, ოყურეში, ლაჯანა, ჩხუტელი, ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი) ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად.

1977 წლიდან დღემდე მუშაობს ცაგერის №91 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სასწავლო ნაწილის გამგედ.

1966 წლიდან იყო სკკპ წევრი. 1990 წლის აპრილში გავიდა სკკპ რიგებიდან.

ცოლშვილიანია, ჰყავს მეუღლე, ორი შვილი.

ცხოვრობს ქალაქ ცაგერში, ლენინის ქ. №10.

დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საარჩევნო ბლოკმა „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“.

დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები

საარჩევნო ბლოკში „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“ გაერთიანებული არიან კონსტიტუციურ-დემოკრატიული, პროგრესულ-დემოკრატიული და შრომის პარტიები. ბლოკს მხარს უჭერენ გლეხთა პარტია, მშენებელთა, მრეწველთა და თავისუფალ კოოპერატორთა კავშირები, ბლოკს შემუშავებული აქვს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია (პროგრამა 30 თვე).

გამოვდივარ რა საარჩევნო ბლოკის „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“ პლატფორმიდან, უზენაესი საბჭოს მუშაობა უახლოეს პერიოდში შემდეგნაირად მესახება:

—განსაზღვროს საქართველოს სახელმწიფო სტატუსი;

—მოითხოვოს რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების აღდგენა;

—აღადგინოს საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობა; მიიღოს კანონი, რომელიც კრძალავს სხვა ეროვნების მოსახლეობის მასიურად ჩამოსახლებას საქართველოში;

—მოამზადოს პირობები ეროვნული არმიის შესაქმნელად;

—შექმნას წესრიგისა და სიმშვიდის დამცველი საჯარისო ფორმირებები;

—საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით განიხილოს და დაამტკიცოს ეკონომიკური განვითარების ეროვნული პროგრამა, გაითვალისწინოს მცირეშემოსავლიანი ოჯახებისათვის სათანადო დახმარების გაწევა;

—დააკანონოს საკუთრების მრავალსახეობა;

—მთიანი რაიონების გლეხობას მიწა გადასცეს უსასყიდლოდ, გაათავისუფლოს ისინი ყოველგვარი გადასახადისაგან;

—შემოიღოს ქალებისათვის 6-საათიანი სამუშაო დღე; გაატაროს ღონისძიებანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების არსებითად გაუმჯობესებისათვის;

—მიიღოს კანონი საქართველოდან იმ პირთა გაძევების შესახებ, რომლებიც აღვივებენ ეროვნებათა შორის შუღლს;

—გააუქმოს საქართველოს ახლანდელი ადმინისტრაციული დარაიონება და აღადგინოს ისტორიულ მხარეებად დაყოფა;

—მოახდინოს არსებული კონტროლის ინსტიტუტების რეორგანიზაცია, შექმნას ერთიანი პროფესიული კონტროლის სისტემა;

—მიიღოს კანონი თანამდებობათა შეუთავსებლობის შესახებ;

—მოაწესრიგოს სახელმწიფოსა და რელიგიას შორის კავშირი;

—გააფართოოს საერთაშორისო კავშირები;

—საშინაო და საგარეო მშვიდობის გარანტიების შექმნის შემდეგ გამოაცხადოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

საზოგადოება „ლეჩხუმის“ დამფუძნებელი ყრილობა

ექვს ოქტომბერს გაიმართა საზოგადოება „ლეჩხუმის“ დამფუძნებელი ყრილობა. ფორუმზე თქვეს, თუ რა სავალალო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა აქვს ცაგერის რაიონს, რაოდენ დაბალია რეგიონის ცხოვრების დონე, რასაც არანაკლებ შეუწყო ხელი სტიქიურმა უბედურებებმა. აღინიშნა, რომ სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს რაიონის ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სავაჭრო ქსელის განვითარების მრავალი საკითხი. ცუდ მდგომარეობაშია გზები, ბევრი სოფელი კი მთლად მოკლებულია ავტობუსების მარშრუტებს.

რაიონისათვის ამ და სხვა საარსებო მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრა იკისრა საზოგადოება „ლეჩხუმმა“. თავის უპირველეს და ძირითად ამოცანებად იგი მიიჩნევს ამ რეგიონის თავისთავადობის შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას. საზოგადოება „ლეჩხუმი“ აპირებს ხელი შეუწყოს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, სამეურნეო საქმიანობის ტრადიციულ სახეობათა აღორძინების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას, გაატაროს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა და ხელი შეუწყოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებას, იზრუნოს ისტორიული ძეგლების რესტავრაციისა და დაცვისათვის, განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა.

ყრილობაზე გამოვიდნენ ჯ. ჩარკვიანი, ლ. ჩარკვიანი, ნ. ჩიქოვანი, აგრეთვე საზოგადოებების „რუსთაველისა“ და „რაჭის“ სახელით თ. კვაჭანტირაძე და ზ. ქაფიანიძე.

პირველი ათი ათასი მანეთი საზოგადოება „ლეჩხუმის“ ანგარიშზე გადარიცხა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

საზოგადოება „ლეჩხუმის“ გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ანზორ ბურჯანაძე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებული საოლქო კომისიების ხარჯების განაწილების და გამოყენების წესის შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის მე-10, 21-ე და 31-ე მუხლების, აგრეთვე 12 სექტემბრის მიღებული დადგენილების— „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებელი ფულადი სახსრების ხარჯთაღრიცხვის“ მიხედვით და შესაბამისად ადგენს:

I საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებულ იმ სახსრებს, რომლებიც გამოყოფილია საოლქო და მათდამი დაქვემდებარებულ საუბნო კომისიებისათვის, განაგებს საოლქო საარჩევნო კომისია.

ამ კატეგორიის სახსრებში უნდა ჩაითვალოს:

1) საოლქო საარჩევნო კომისიის ხარჯები 6000 მან.

2) საუბნო საარჩევნო კომისიის ხარჯები 650 მან. თითოეულ უბანზე;

3). ხარჯები ხმის მიცემის კაბინებისა და ყუთების დამზადებისათვის 500 მან. თითოეულ უბანზე;

4). დეპუტატობის 15 კანდიდატის ~~ხელფასი და მივლინების~~ თანხა 550 მან. X 15-8250 მან.

5). დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატისა და პარტიების ნდობით აღჭურვილ პირთა ხელფასი და მივლინების თანხა 430 მან. X 15-7200 მან.

II. საოლქო საარჩევნო კომისია არის ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან მისთვის გამოყოფილი სახსრების გამგებელი. საოლქო საარჩევნო კომისია არსებული წესის მიხედვით ხსნის ანგარიშსწორების ანგარიშს სახელმწიფო ბანკის ფილიალში, რომელიც აწარმოებს საბიუჯეტო ოპერაციებს, იმ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სადაც იმყოფება საარჩევნო ოლქი.

საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს კომისიის ხაზინადარს, რომელიც აწარმოებს საოლქო კომისიის ყველა საბუღალტრო ოპერაციას. ხაზინადარი შეიძლება ასრულებდეს აგრეთვე მოლარის ფუნქციებს, რომელიც უფლებამოსილია ნაღდ ანგარიშსწორებაზე.

საოლქო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამ კომისიისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენებას.

ნებადართულია, საჭიროების შემთხვევაში გამოყოფილი სახსრებს მუხლიდან მუხლში გადატანა, ხელფასის ანაზღაურებაზე განკუთვნილი სახსრების გარდა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ხაზინადარი პასუხისმგებელნი არიან საარჩევნო სახსრების დადგენილი წესით გამოყენების გამო.

ყველა სახის ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები ინახება ხაზინადართან.

ყველა სახის ნაღდ ანგარიშსწორებას აწარმოებს საოლქო საარჩევნო კომისიის მოლარე.

ნაღდი ფულით ანგარიშსწორება საოლქო საარჩევნო კომისიამ შეიძლება მოახდინოს:

ა) ხარჯთაღრიცხვით და ამ დადგენილებით გათვალისწინებული ხელფასებისა და მივლინებების ასანაზღაურებლად;

ბ) სხვადასხვა სახის სამეურნეო ხარჯებისათვის;

გ) გაუთვალისწინებელი მცირე ხარჯებისათვის.

III. საოლქო და საუბნო კომისიების განთავისუფლებული წევრების, კანდიდატთა და ნდობით აღჭურვილ პირთა ხელფასისა და მივლინების ფონდი გამოიყენება შემდეგი წესით:

(დასასრული მე-2 გვერდზე).

39

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წარდგენება

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება არის დემოკრატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს დიდი ილია ჭავჭავაძის იდეალებით. საზოგადოების დევიზია: „მამული, ენა სარწმუნოება". ილია ჭავჭავაძის საზოგადოება შეიქმნა 1987 წელს და იყო პირველი არაფორმალური ოპოზიციური გაერთიანება საქართველოში. საზოგადოების მთავარი პოლიტიკური მიზანია საქართველოს დემოკრატიული დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა და ამ თვალსაზრისით ქართველი ხალხის მომზადება.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება თავის მიზნების განხორციელებისათვის კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით მიმართავს საზოგადებრივ აზრზე და ხელისუფლებაზე ზემოქმედების ყველა მშვიდობიან, დასაშვებ ფორმას (მიტინგი, დემონსტრაცია, გაფიცვა, თვითგამოცემების გავრცელება და ა. შ.) და მიიჩნევს, რომ ყოველგვარ აქციას უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიზანი და საფუძვლად ედოს პოლიტიკური რეალიზმი. საზოგადოების აღორძინებას, მისთვის ილიასეული სულის შთაბერვას დიდი ღვაწლი დასდეს აწგანსვენებულებმა ზურაბ ჭავჭავაძემ და საზოგადოების დიდმა მეგობარმა, მისი დარბაზის წევრმა მერაბ კოსტავამ. დღიდან დაარსებისა საზოგადოებამ არაერთი მნიშვნელოვანი აქცია და ღონისძიება ჩაატარა, რომელიც აქტიურად ეხმაურებოდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

1989 წელი ტრაგიკული აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისათვის. აფხაზეთის 15-16 ივლისის მოვლენების დროს, ტრაგიკულად დაიღუპა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრი, საზოგადოების ცხუმის განყოფილების გამგეობის წევრი ვოვა ვეკუა. 30 ნოემბერს, ავტოკატასტროფაში დაიღუპა საზოგადოების დარბაზის წევრი, ცხუმის განყოფილების გამგეობის წევრი სოსო ადამია. 13 ოქტომბერს, ავტოკატასტროფაში დაიღუპა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მერაბ კოსტავა. მასთან ერთად ავარიაში ძალიან მძიმედ დაშავდა ზურაბ ჭავჭავაძე, რომელიც 2 თვის შემდეგ ამ მძიმე მდგომარეობიდან ფაქტიურად უკვე გამოსული საეჭვო ვითარებაში დაიღუპა.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან, როგორც ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მექანიზმთან, არის რადიკალური, ნიშანდობლივია, რომ ყველაზე დიდი რაოდენობა ყოფილი პოლიტპატიმრებისა სწორედ ამ საზოგადოებაშია გაერთიანებული. მის წევრთა შორისაა არაერთი ე. წ. „უძრაობის" წლებში სხვადასხვა ფორმით რეპრესირებული ადამიანი. ხოლო საზოგადოების პოლიტიკური პლატფორმის რეალიზმს განაპირობებს საზოგადოების მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი, ვინაიდან მასში გაერთიანებულია ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას დაუშვებლად მიაჩნია პოლიტიკურ ბრძოლაში არაზნეობრივი მეთოდების გამოყენება, ამასთან, ყველანაირად იღვწის ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისათვის. საზოგადოებისათვის პრინციპულად მიუღებელია ნებისმიერი ფორმის დიქტატურა, უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევს საქართველოში მცხოვრებ არაქართველებთან დამოკიდებულების სამართლებრივი მოწესრიგების საკითხს, მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, სხვა ეროვნების ხალხებთან ურთიერთობაში ტრადიციული ქართული ჰუმანიზმისა და შემწყნარებლობის საფუძველზე, ტრადიციული პოლიტიკური კონტაქტების გაღრმავება კავკასიის („საერთო კავკასიური სახლი") და დანარჩენი სამყაროს ხალხებთან. საზოგადოება პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა კრემლის მიერ პროვოცირებული ეთნოკონფლიქტების მექანიზმის ამოსაცნობად და მის უვნებელსაყოფად, რაც საფუძველი უნდა გახდეს იმპერიული პოლიტიკის მიერ კავკასიელ ხალხთა დაღლეული ერთიანობის აღდგენისა და კეთილმეზობლური ურთიერთობისა. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას დამოუკიდებლობის აღდგენის ერთ-ერთ ქმედით საშუალებად მიაჩნია პარლამენტური ბრძოლის გზა. ამიტომ საზოგადოება მონაწილეობს უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებში და გაერთიანებულ ბლოკში — „დემოკრატიული საქართველო".

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების უმაღლესი ორგანოა ყრილობა, ყრილობებს შორის—„დარბაზი". მიმდინარე საქმიანობას წარმართავს გამგეობა. გამგეობის წევრები არიან:—ნიკო ჭავჭავაძე, თამარ ჩხეიძე, ჯუმბერ კოპალიანი ტარიელ ღვინიაშვილი, კახაბერ კახაძე, რაულ კუპრავა ანზორ აბჟანდაძე, იოსებ ბანძელაძე, მიხეილ ქურდიანი. საზოგადოებას საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში გააჩნია ფილიალები. ესენია—ცხუმის, ყვარლის, ზუგდიდის, ქუთაისის, ოზურგეთის და სხვა რეგიონალური ორგანიზაციები.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამოცემებია: ჟურნალი „ივერია", გაზეთები: „ივერია", „კავკასიონი" (რუსულ ენაზე), „დურუჯი" (ყვარელის განყოფილება), „იმერი" (ქუთაისის განყოფილება), „ბედია" (ქართულ და რუსულ ენებზე, ცხუმის განყოფილება), „ყინწვისი" ქარელის განყოფილება).

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების I ყრილობა გაიმართა 1988 წლის 8 ოქტომბერს. ყრილობამ დაამტკიცა წესდება და განსაზღვრა სამოქმედო პროგრამა. საზოგადოების დროშად დაამტკიცა წმინდა ხინოს ჯვრიანი ჩალისფერი დროშა, ღერბად—წმინდა გიორგის გამოსახულება, ჰიმნად—ილიას ტექსტზე შექმნილი სიმღერა—„ჩემო კარგო ქვეყანავ".

ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებული საოლქო კომისიების ხარჯების განაწილების და გამოყენების წესის შესახებ

(დასასრული).

ა) ამ კატეგორიის პირებს ხელფასი უნარჩუნდებათ თავიანთ სამსახურში, შემდეგ საოლქო კომისიას წარედგინება ანგარიში და გაუნაღდდებათ;

ბ) სტუდენტებს, პენსიონერებს, უმუშევრებს და 250 მანეთზე დაბალი შემოსავლის მქონე პირებს აუნაზღაურდებათ აღნიშნულ თანხასთან სხვაობა;

გ) მივლინების ანაზღაურება ხდება მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით.

IV. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ბანკები, მათი საოპერაციო სამმართველოები და ფილიალები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ კამპანიის ჩატარებას, რისთვისაც

1) უზრუნველყოფენ არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის (ბლოკებისათვის), საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის ყველა სახის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტისა და საბანკო ოპერაციების შესრულებას ყოველგვარი შეფერხებების გარეშე, ურიგო მომსახურეობას;

2). აწესებენ ფულის ნიშნების ჯავშანს სახ. ბანკის იმ ფილიალებში, სადაც ანგარიშსწორების ანგარიში აქვთ გახსნილი პარტიებს, მათ ბლოკებს, რეგიონულ ორგანიზაციებს, აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიებს შემდეგი ქვედა ზღვრის ოდენობით დღეში:

ა) ერთი პარტიისათვის (ბლოკისათვის) ცენტრალურ ანგარიშზე 2000 მან.

ბ) ერთი პარტიისათვის (ბლოკისათვის) რეგიონალურ ანგარიშზე 500 მან.;

გ) ერთი საოლქო საარჩევნო კომისიისათვის 1000 მან.

V. საოლქო კომისიის ანგარიშგება.

არჩევნების დამთავრების შემდეგ ყველა საოლქო კომისია ვალდებულია წარადგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ანგარიში გაწეული ხარჯების შესახებ.

VI. ამ დადგენილებით გაუთვალისწინებელი საფინანსო საკითხების გარკვევა უნდა მოხდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საფინანსო ჯგუფში ტელ. 98-79 98-70-04.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

ი. ჟორდანია.

კომისიის მდივანი

ლ. მესხი.

1990 წელს საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიის ხარჯების (საშუალო) ნორმები (თანხა მანეთობით)

1. საუბნო საარჩევნო კომისიის გათავისუფლებული წევრის 1 თვის ხელფასი	300
2. ამომრჩეველთა სიების დაბეჭდვა	60
3. პლაკატების დაბეჭდვა საარჩევნო უბნის საზღვრებითა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობით	90
4. საარჩევნო ლიტერატურის შეძენა	5
5. არჩევნებზე მოსაწვევი ბარათები	25
6. საკანცელარიო საქონლის შეძენა	10
7. უბნის გაფორმება	[illegible]
8. შენობის შენახვა	[illegible]
9. სატრანსპორტო ხარჯები	30
სულ	650

ვინ იყო ასკალიონ კოპალიანი?

დღეს მისხალ-მისხალ გვიხდება ქართული სულის ნამსხვრევების შეგროვება, ისტორიის ტაბულადებული მომენტების ჩხრეკა, ბევრი რამის გადაფასება და ნამდვილი სახელის დარქმევა. ამჯერად რა მაქვს მხედველობაში: ეს კაცი ტყვედ ნამყოფიაო რომ იტყოდნენ, გაჟღენთილი ერთგულებული იდეოლოგიის შიშით, ეჰვით ვუყურებდით, განვუდგებოდით, რატომ—თავად არ ვიცოდით, მაგრამ საკუთარ ტყავს ვუფრთხილდებოდით, რა „გვეშარებოდა".

სჯობს უფრო კონკრეტულად: ჩვენმა მკითხველმა უსათუოდ წაიკითხა „ახალგაზრდა ივერიელის" და გაზეთ „ლეჩხუმში" გამოქვეყნებული სტატია „ვინ იყო ასკალიონ კოპალიანი?"

ამ კითხვამ თქვენც და ჩვენც ერთნაირად აგვაფორიაქა. რა შევიტყვეთ ამ პიროვნების შესახებ: ასკალიონი (ჩვენებურად ასკალონი) სოფელ ზარაგულიდან გახლდათ, უცოლშვილო. კარგი ვაჟკაცი იყო, ამბობენ ახლობლები, მოხდენილი, ზრდილი, ამაყი, პატიოსანი. ფანატიკურად შეყვარებული დედაზე, საქართველოზე.

ომში პირველსავე დაძახილზე წასულა. იბრძოდა ყირიმის ფრონტზე, წინა ხაზზე.

ომი ომია, თავის კანონები და ეთიკა აქვს, სასტიკი, სასწაულებით სავსე. ასკალონი ტყვეთა ბანაკში მოხვდა და 2 წელი პოლონეთში გაატარა. ლამაზი სულით, უბადლო პიროვნული თვისებებით, სიდარბაისლით გამორჩეულმა უცხოერის წარმომადგენელმა გააკვირვა ბანაკის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი, ავსტრიელი ანტონ შერგხოფერი. ასეთ უჩვეულო ვითარებაში, თუმცა ისინი ომში ერთმანეთის მოწინააღმდეგენი იყვნენ, საერთო ენა გამონახეს. შემდეგ ისე დამეგობრდნენ, რომ უერთმანეთოდ არც კი შეეძლოთ: ასკალონ კოპალიანით ავსტრიელმა შეიცნო მთელი ქართველობა, მისი კულტურა, მაღალი ზნეობა და ნებისყოფა.

მაგრამ დადგა დრო, როცა უნდა დასცილებოდნენ ერთმანეთს. მეგობარმა ასკალონს შესთავაზა გაჰყოლოდა ავსტრიაში, ეს ნიშნავდა გერმანელების მხარეზე გადასვლას. ამან აღაშფოთა ქართველი ჯარისკაცი: „მე არ მიღალატია და არც არასოდეს ვუღალატებ ჩემს სამშობლოს. მე თუ შენთან ვმუშაობ, ეს იმიტომ, რომ იძულებული ვარ, როგორც ტყვე". იგი თავისი სიტყვის ერთგული დარჩა ბოლამდე.

სამწუხაროდ, მათი დაცილება უკანასკნელი აღმოჩნდა. ვერ ელირსა ავსტრიელი მეგობარი ენახა ასკალონი, შეეტყო რაიმე მის შესახებ. გარდაცვალებამდე (1984 წელი) იწერებოდა წერილებს ზარაგულაში, სოფლის საბჭოში, მაგრამ დუმილი, დუმილი დუმილი (?!) უბრალოდ პასუხი, თუნდაც უარყოფითი, თუნდაც ომიმდელი ასკალონის პიროვნების შესახებ ვერა და ვერ გაბედა სოფლსაბჭომ.

ვინ იყო ასკალონ კოპალიანი? მოვუსმინოთ სოფელს: 4 ვაჟკაცი გაისტუმრეს ომში ასკალონის მშობლებმა— მოსე და ეპრასი კოპალიანებმა. უფროსი სერგო, მომდევნო აკაკი ქერჩში იბრძოდნენ, მათ მომდევნო ძმები—ასკალონი და ასტერი მიჰყვნენ. მეხუთე ძმა ეგნატე, ავადმყოფი, ომისთვის გამოუსადეგარი, სახლში გარდაიცვალა.

მიწის მიმყრელი ერთი ბიჭიც არ დარჩა მშობლებს, მაგრამ დედას ერთი იმედი და წინათგრძნობა დასჩემდა: ასკალონ მოვა, უსათუოდ მოვა. 60-იან წლებში გარდაიცვალა შვილების ლოდინში დაღლილი დედა.

ხიძის, ასკალონის ბედით დაინტერესდა ძმისწული ზაური. იგი მეოთხე ძმის, ასტერის ერთადერთი ვაჟიშვილია (ჰყავს დაც, ქუთაისში დაოჯახებული). ასტერს კადრში უმსახურია. პირველი ხარისხის დამწვრობით ორთავფეხმოკვეთილი დაბრუნებულა შინ 1944-ში და 1947 წელს, 28 წლისა დაღუპულა.

22 წლისა დარჩა მეულლე მისი, ქალბატონი ოლია. ქვრივმა 1 წლის ზაური და მისი და პატიოსანი ლუკმით გაზარდა, დღეს ზაურ კოპალიანი საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციაში მუშაობს. მამისა და ბიძების ადამიანური სიკეთე, ნებისყოფა და ვაჟკაცობა ერთთავად განსხეულებულა შინმოუსვლელის ობოლში, კარგ პიროვნებად გამოძერწილა, თორემ ოჯახს ერთი აგური არავისგან ახსოვს, ხელი-

პასუხს დაღვრილი

შიდსი — № 1 მტერი

საპარიკმახეროების საყურადღებოდ!

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოების („ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“) მიერ ტელევიზიით გაკეთდა განცხადება, რომ დაწყებულია საპარიკმახეროებში სტერილიზაციის და ჰიგიენის ნორმების დაცვის შემოწმება.

საზოგადოებისათვის ცნობილია რომ შიდსის გადაცემის ერთ-ერთი გზაა დაავადებულის ან ინფიცირებულის სისხლით დაბინძურებული ნივთების გამოყენება (სადალაქო ინსტრუმენტები, პედიკურისა და მანიკურის, კოსმეტიკის იარაღები და სხვა). ერთჯერადი ჰიგიენური საშუალებების არ არსებობისა და სტერილიზაციის ნორმების სისტემატური იგნორირების პირობებში, სწორედ საპარიკმახეროებმა შეიძლება ითამაშონ სავალალო როლი ჩვენთან შიდსის გავრცელებაში.

იმ ათიოდე საპარიკმახეროს მაგალითი, რომელთა შემოწმებაც მოხერხდა, გვაძლევს უფლებას, ვილაპარაკოთ საპარიკმახეროების ქსელში საერთოდ არსებულ მდგომარეობაზე, მით უფრო, რომ შემოწმებულ იქნა დედაქალაქის ამ დანიშნულების საუკეთესოდ წოდებული, მატერიალურად ყველაზე უზრუნველყოფილი დაწესებულებები. დასკვნები მეტად შემაშფოთებელია. ხაზს ვუსვამთ, რესპუბლიკის საუკეთესო საპარიკმახეროებში იმდენად სერიოზულ დარღვევებს აქვს ადგილი, რომ შეიძლება ითქვას, მათი მუშაობა ფაქტობრივად ხელს უწყობს ჩვენში შიდსისა და სხვა გადამდები დაავადებების გავრცელებას.

ასე მაგალითად: ჩვენს მიერ ნანახ არც ერთ საპარიკმახეროში მჭრელი სადალაქო ინსტრუმენტების (მაკრატელი, თმის შესაკრეჭი მოწყობილობა), მანიკურისა და პედიკურისათვის საჭირო იარაღების სტერილიზაცია არ ხდება დადგენილი წესების მიხედვით; მიუხედავად აკრძალვისა, რიგ საპარიკმახეროებში მაინც პარსავენ წვერს. არც ერთ საპარიკმახეროს არა აქვს სათანადო რაოდენობის თეთრეული, ისე რომ კლიენტებს, როგორც წესი, ნახმარი ზეწრებით, პენუარებითა და ხელსაწყოებით ემსახურებიან; პლასტმასის სავარცხლები და ჯაგრისები არ მუშავდება სპეციალური ხსნარებით;

მიაქციეთ ყურადღება:

საპარიკმახეროთა მესვეურები ქლორამინის ხსნარის უქონლობას ხსნიან იმით, რომ მათი თქმით, არცერთი აფთიაქი გადარიცხვით არ მუშაობს. ჯერ ერთი, თვით ეს ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს და მეორეც, 200 ლ. 0,5 პროცენტიანი ქლორამინი (ეს მთელი თვის მარაგია ყველაზე დიდი საპარიკმახეროსათვის) ღირს... 32 კაპიკი!

საპარიკმახეროებში პუდრისათვის ბამბის ნაცვლად გამოიყენება მრავალჯერადი ხმარების ღრუბლები. მოჭრილი თმების მოსაცილებლად იყენებენ ფუნჯებს, რაც ასევე დაუშვებელია.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა სავალალოა. ვვარაუდობთ, დადგა დრო ბოლო მოეღოს ისეთ ვითარებას, როცა ზედმეტ მანეთს დახარბებულნი სრულ იგნორირებას ვუწევთ შიდსის პრობლემას. საფრთხე კი მართლაც რეალურია. საქართველოში შიდსის ვირუსმატარებელთა და დაავადებულთა და აგრეთვე ამ სენით გარდაცვლილთა რიცხვი კატასტროფული ტემპებით იზრდება (უკანასკნელ თვეებში მათი რიცხვი გაორმაგდა!!). მდგომარეობის დრამატიზმს ისიც უსვამს ხაზს, რომ არავინ იცის სინამდვილეში რამდენი ვირუსმატარებელია საქართველოში. ციფრები, რომლებსაც ოფიციალურად აქვეყნებს ჯანდაცვის სამინისტრო, ასახავს მხოლოდ გამოვლენილ შემთხვევებს და არ შეიცავენ ამომწურაობის პრეტენზიას.

ტელეგამოსვლისას ითქვა, რომ თუ უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ზემოაღნიშნული დაწესებულებები რეალურად (და არა ვინმესთვის თვალის ასახვევად) არ მოაწესრიგებენ თავის საქმიანობას, ჩვენი ორგანიზაცია იძულებული გახდება მოუწოდოს საზოგადოებას უარი თქვან მათ მომსახურებაზე.

საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოება საკმაოდ მრავალრიცხოვანია. საქართველოს თითქმის ყველა რაიონში და ქალაქში მას აქვს თავისი ორგანიზაციები. ჩვენს რიგებში დღეისათვის რეალურად გაერთიანებულია 25 ათასზე მეტი წევრი, ჩვენ, ალბათ, არ გაგვიჭირდება ხალხის უფართოეს მასებს გავაგებინოთ, რომ საპარიკმახეროები დანაშაულებრივ დაუდევრობასა და გულარხეინობას იჩენენ საკუთარი ერის ჯანმრთელობისა და მისი მომავლის მიმართ.

ამჯერად ჩვენი პუბლიკაციის მიზანია, უკანასკნელად გავაფრთხილოთ საპარიკმახერო დაწესებულებები და მოვთხოვოთ მათ მესვეურებს უახლოეს მომავალში მუშაობის კარდინალური გარდაქმნა. ვვარაუდობთ, რომ მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე დარჩენილი დრო საკმარისია, რათა მათ ან გამოასწორონ მდგომარეობა ან თავადვე დახურონ ის დაწესებულებები, რომლებიც არ უპასუხებენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. მეტ თანადგომას ყოველით სანეპიდსამსახურების მხრიდან. გვჯერა, რომ ფართო საზოგადოებრიობა, რომელიც სულ უფრო მეტად გრძნობს მოახლოვებული პანდემიის საშიშროებას, გაიზიარებს ჩვენს პოზიციას.

საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოება („ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“).

სიცხლი იძლევა

სუფლებას არსებობაც არ გახსენებია მათი. კარგი ოჯახი შექმნა ზაურიმ ქვედა ცაგერში, წესიერ შვილებს უზრდის საქართველოს.

ჰოდა, ზაური დაინტერესდა რა ბიძის ბედით, ეურნალისტ შამათავას, რომელიც ეძიებდა მასალებს ჯარისკაცზე, ოჯახის ისტორია გაეცნო, მადლიერების ნიშნად რამდენჯერმე პირადად შეხვდა და ესაუბრა, მაგრამ რაიმე ოფიციალურს, სარწმუნოს ბიძის საბრძოლო გზაზე, ვერ მიწვდა. ბოლოს, რომ ვერ მოიშორეს, ასე უთხრეს: ავსტრიაში ვის რა უნდა, შენი საქმე არ არისო, დაემუქრენ კიდეც. ძალა აღმართს ხნავს, სხვა დრო იყო და ძმისწულიც მიეუჩდა, თუმცა თავად ყოველთვის ამაყობდა და ამაყობს ბიძით და ოჯახის ტრადიციებით, მამით, მათ მიერ დაღვრილი უდანაშაულო სისხლით.

სოფელში ასედაც თქვეს: თითქოს ერთხელ, გვიან ღამით, ეს იყო დაახლოებით 70-იან წლებში, ვიღაც უცხო მამაკაცი უმაწვილით მოსულა კოპალიანების ფუძეზე. ზაურის დედა და მეზობელი თონესთან ფუსფუსებდნენ იმ დროს. ვერ შეუცვნიათ უცხო სტუმარი (ამ დროს დედამამა აღარ იყო ამ ქვეყნად, აღარც მამა-პაპური ოდა-სახლი დგმულა ძველ ადგილას). ეს ყველაფერი შეუტყვია უცნობს, გამომშვიდობებია ქალებს და გაუჩინარებულა. მეორე დილით ხეხილის ბაღში სიგარეტის ნამწვავების გროვა უნახავთ. ეტყობა, ღამე იქ გაუთევიათ უცნობს.

იქნებ ის იყო? ვინ იცის, მოსაზრებით, მით უფრო ახლობლები აღარ იყვნენ ცოცხლები, იქნებ გადაიფიქრა სამშობლოში დაბრუნება. მისი ამაყი სული და პიროვნება ვერ იცხოვრებდა სულიერი თავისუფლებისა და სრულყოფილების გარეშე. ეს ფიქრები აწვალებდა ალბათ თხემით ტერფამდე ქართული ჯიშისა და სინდისის ვაჟკაცს და ამჯობინა მშობელი დედისა და მიწის ნატვრაში სამშობლოდან შორს ეპოვა საუკუნო სასუფეველი.

კოპალიანების კერაზე ამჟამად გურამი ცხოვრობს, უფროსი ძმის სერგოს ვაჟიშვილი.

გურამი და ზაური—5 ძმიდან ორი მონაგარი, მემკვიდრე და გვარის გამგრძელებელი.

განა არა ღირს ეს ხარკი იმად, რომ ვუპასუხოთ კითხვას: ვინ იყო ასკალიონ კოპალიანი?

მ. ძნელაძე.

როგორ აღმოაჩინეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ფოტოპორტრეტი

ხუთი წლის წინ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის იკოლოგიის განყოფილების გამგემ დავით შუღლიაშვილმა ნიკოლოზ ბარათაშვილის ფოტოპორტრეტის მოკვლევაზე გამოაქვეყნა მტკიცებანი.

იშვიათი არ არის, რომ ბევრ გენიოსს საკვირველი „ბიოგრაფია“ რჩება, თითქმის არაფერი არ ვიცით საყოველთაოდ ცნობილ შექსპირზე და ბევრ სხვაზე. თითქმის ასეთივე ბედი ხვდა წილად ნ. ბარათაშვილსაც.

ჯერ იყო და ნ. ბარათაშვილის ლექსები სანთლით საძებარი შეიქმნა. მასში აქტიურად მონაწილეობდა დიდი ილია. ამისათვის იგი 1887 წელს ესტუმრა ჩვენი რაიონის მოსაზღვრე სოფელ გორდს, საიდანაც წაიღო პოეტის რამდენიმე ლექსი ე. ჭავჭავაძის ალბომში ჩაწერილი. შემდეგ საძებარი გახდა პოეტის პორტრეტი. ეს ძიება თითქმის საუკუნეზე მეტი გაგრძელდა.

გენიალური პოეტი ნ. ბარათაშვილი თავისი ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრებით მალამოდ დაედო საუკუნეებით ტანჯული ქართველი ხალხის სულსა და გონებას.

„...არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს...“

მარტო ამ ერთ სტროფში ჩატეულია ისეთი ცხოვრებისეული სიბრძნე, რომელიც ღირს, დღევანდელი ბევრი გაბღენძილი შემოქმედის მთელ შემოქმედებად.

პოეტის თაყვანისმცემლები ვერ ეგუებოდნენ, რომ არ გვქონდა მისი ნამდვილი პორტრეტი. ის, რაც წიგნებში გვხვდებოდა, იყო მიმსგავსებული ნახატი, რისთვისაც მხატვრებმა ფონად გამოიყენეს ბარათაშვილის სკოლის ამხანაგის მიხეილ თუმანიშვილის მიერ შესრულებული პოეტის პორტრეტი და ნიკოლოზის მსგავსი ერთერთი დის სახე.

დ. შუღლიაშვილმა პოეტის ფოტოპორტრეტის ძიება 60 იანი წლების დასაწყისში დაიწყო და 5 წლის წინ დაამთავრა. მას ხელთ ჰქონდა უტყუარი დოკუმენტი, რომ ნ. ბარათაშვილის 1842-1843 წლებში გადაღებული რამდენიმე პორტრეტი იყო დარჩენილი, საჭირო იყო მათი მოძებნა.

მარი ბროსეს (ეს იყო პირველი ისტორიკოსი საქართველოს ისტორიაში—სხვათაშორის, იგი 1848 წელს მოგზაურობდა ლეჩხუმში და დაგვტოვა მისი სოფლების საინტერესო აღწერა) დავალებით პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდნენ მხატვარ-ფოტოგრაფი ს. ლეევიკი და აკადემიკოსი ი. ფრიცშე. სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში ინახება წერილი, რომელშიც ფრიცშე წერს, რომ ფოტომასალების ასლების დამზადების დროს იგი გაეცნო და შემდეგ დაუკავშირდა თავადს, პოეტ ბარათაშვილს. საეჭვო აღარ არის, რომ ეს ნიკოლოზია. [illegible] ლად მიაღლიდა [illegible] ლეჩხუმელმა სანელოვანმა მკვლევარმა, პროფესორმა მ. ჩიქოვანმა.

იმ დროს ფოტოგრაფია ახალი დანერგილი იყო, ხალხი დიდი ინტერესით იღებდა ფოტოსურათებს. ჩანს, რომ მათთან პოეტი რამდენიმე ფოტოსურათს გადაიღებდა.

დავით შუღლიაშვილმა შეისწავლა მუზეუმის ფოტომასალების უზარმაზარი კოლექცია, 15,000-ზე მეტი სურათი და ალბომი. მან ყურადღება მიაქცია 1946 წელს თბილისელი მოქალაქის კ. ი. ბარათაშვილის მიერ მუზეუმისათვის გადაცემულ საოჯახო ალბომს, რომელშიც 27 ფოტოდან ვინაობის წარწერა არ ჰქონდა ერთს, რომლისთვისაც მანამდე ყურადღება არავის მიუქცევია და იგი უცნობი სურათების ფონდში გადაუტანიათ. მკვლევარმა მოიძია ეს სურათი და მისი მომტანი კ. ბარათაშვილი, რომელმაც დედისაგან იცოდა, რომ ეს სურათი ბებიამისს ბაბალე ჩოლოყაშვილ-ბარათაშვილს შენახული ჰქონდა „ვეფხისტყაოსანში“ გამხმარ ფოთოლთან ერთად და უთქვამს, იგი ჩვენი ნათესავი ბარათაშვილი იყოო.

ამ პერიოდში კ. ბარათაშვილის დედა მარიამი იმყოფებოდა მოსკოვში უფროს შვილთან. მაძიებელი დ. შუღლაშვილი დაუკავშირდა მას და სთხოვა „უცნობ სურათზე“ დაეწერა რაც იცოდა. მარიამმა დაწერა:... ჩემმა შვილმა კ. ი. ბარათაშვილმა 1946 წელს გადასცა თქვენს მუზეუმს ჩვენი საოჯახო ალბომიდან 27 სურათი, რომელიც ეკუთვნოდა ჩემს დედამთილს ბ. გ. ბარათაშვილს. ამ სურათებს შორის იყო ახალგაზრდა კაცის სურათი საყელოზე ბაფთ•თ. ჩვენს სახლში ხშირად დადიოდა სოფიო ჭავჭავაძე—ბარათაშვილი, მას ჩვეულებად ჰქონდა სურათების მითვისება, ამიტომ ჩემმა დედამთილმა გადამამალვინა ამ ახალგაზრდა კაცის სურათი რომელიც ინახებოდა „ვეფხისტყაოსანში“ ჩემი დედამთილის გარდაცვალების შემდეგაც (იგი 1918 წელს გარდაიცვალა), ვიდრე ჩემი შვილის მიერ მუზეუმს ჩაბარდებოდა“.

ფოტოკოლექციაში არსებული ბარათაშვილების გენეალოგიის შესწავლამ დაადასტურა, რომ ეს ფოტოპორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისაა.

ასეთი სამსახური გაუწია მუზეუმში დაცულმა ნივთებმა ხალხს და 5 წლის წინ დადგინდა ნ. ბარათაშვილის ნამდვილი ფოტოპორტრეტი.

ჯუმბერ სალინაძე.

ქალი, რომელიც ღაგვაკლდა



მან მთელი თავისი ცხოვრება აქ გაატარა, მშობლიურ ლეჩხუმში, აქ ეზიარა პირველი დედობის სიხარულს. მერე წლებს წლები მიჰყვა, იყო სიღარიბე, უძილო ღამეები, წყვილ-წყვილ აკვანთან ფიქრი შვილებზე, ოჯახზე, მათ მომავალზე...

10 შვილის დედა გახდა ქალბატონი სონა მიქაძე-ნემსწვერიძე. შვილები დედ-მამის ბუდიდან აფრინდნენ, წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ თან გაჰყვათ შრომისა და მოკეთის სიყვარული, სიკეთე და პატიოსნება.

80 წლის სონა და მეუღლე ალფეზ ნემსწვერიძე სოფელ ორბელში, კურცობში ატარებდნენ მოხუცებულობის ბედნიერ წლებს, მაგრამ სტიქია მათ სამოსახლოსაც მისწვდა.

გადაწყდა 4 დამეწყრილი ოჯახის გამოყვანა ორბელიდან და ბოლნისში ჩასახლება.

ღრმა მოხუცებულობის ასაკში ფუძის მოშლა ენით გამოუთქმელი ტრაგედიაა, მაგრამ სხვა რა გზა იყო—მოხუცი დედ-მამა შვილებმა ბოლნისში ჩაიყვანეს, კარგი სახლ-კარი აიღეს იქაც. ბევრი ლეჩხუმელიც დასახლდა მათ გვერდით და ამდენად დარდსა და ნაღველს არ მისცემიან.

ჩასვლიდან 2 თვის თავზე მოულოდნელად გარდაიცვალა გმირი დედა. ცხარე ცრემლით დაიტირა იქ, ბოლნისში, სახელდებული ქალი მთელმა ქართველობამ, დიდი პატივით დაკრძალეს. უფროსმა შვილმა, შრომის დიდების ორდენოსანმა დავით ნემსწვერიძემ, ორბელიდან წაღებული ნაკურთხი მიწა მოაბნია დედის სამუდამო განსასვენებელს. ბოლნისში ე. წ. ლეჩხუმელთა ახალ სასაფლაოზე პირველი სასუფეველი გმირ დედას ხვნა წილად. ეს დიდ ტკივილთან და ზღვა ცრემლთან ერთად ნიშანდობლივია—დაე, მისნაირი ქართველქალობის ტვირთი და ღირსება ეტარებინოს ბევრ დედას, ემრავლებინოს ერი.

რაიონის ქალებმა გვიან შევიტყვეთ სამგალითო დედის სიკვდილი, ვერ მივაგეთ სათანადო პატივი მის ხსოვნას.

ახლა ისღა დაგვრჩენია ვთქვათ—ნათელი, წმინდა ცრემლი და ლეჩხუმური მიწის მადლი არ მოკლებოდეს მის საფლავს.

ქალთა რაიონული საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქენო!

13 ოქტომბერს სრულდება ერთი წელი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა მერაბ კოსტავა, საქართველოს ეროვნული გმირი. წმინდაა მისი სახელი და უკვდავი—ხსოვნა, რომელიც საუკუნეებს გადაეცემა.

შაბათს მერაბ კოსტავას გარდაცვალების წლისთავი მთელ საქართველოში აღინიშნება. 13 საათზე ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში გაიმართება პანაშვიდი ეროვნული გმირის სულის მოსახსენიებლად.

წმინდა ილია მართლის საზოგადოება
ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.

განცხადება

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ორგანიზაციებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ანგარიშვალდებულ პირებს, მოქალაქეებს გევალებათ მოახდინოთ ანგარიშსწორება. ანგარიშსწორებას ახდენს კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობასთან არსებული სალიკვიდაციო კომისია.

ანგარიშსწორების უკანასკნელი ვადაა 1990 წლის 1 დეკემბერი.

რაიონული სალიკვიდაციო კომისია

მეუღლე დავითი, დედა მაკრინე, დები ეთერი, გულნარა, ძმები ბუჭუ, შოთა, სიძეები კამო ყაზარაშვილი, ბორის ბრეგვაძე, მერაბ ჭარბაძე, გიგლა მეიფარიანი, რძლები ეთერ, ლალი, მანანა, ძმისშვილები ცისმარი, ცეცილი, ლედი, მიხო, ნანი, ლეილა, ვენდი ბობოხიძეები, დისშვილები ნათელა, ნინელი, შოთა ყაზარაშვილები, ლალი, ლელა ბრეგვაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ მიხეილის ასული ბობოხიძე-ჭარბაძე

დაკრძალვა 13 ოქტომბერს, შაბათს, ქ. თბილისში, გამოსვენება II—ძმობის გამზირი №2-დან.

ნინო, მიშა კვირკაშვილები, ალექსი ასათიშვილი, ნინა, თამარ, თინა, ციალა დოლბაიები ოჯახებით იუწყებიან

ჟენია ასლანის ასული გელოვანის

გარდაცვალებას.

ზაურ ბობოხიძე, კარლო ასლანიკაშვილი ოჯახებით იუწყებიან

გივი ალექსის ძე ბურჯალიანის

გარდაცვალებას.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის 1990 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ელისო ხვადაგიანი თანაუგრძნობენ ლაშა ბურჯალიანს მამის

გივი ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

კუკური ხეცურიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გივი ბურჯალიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მურთაზ ახვლედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცეცილი ბობოხიძეს მამიდის

თამარ მიხეილის ასულ ბობოხიძე-ჭარბაძის

გარდაცვალების გამო.

კობა ფრუიძე ოჯახით თანაუგრძნობს ფატი იაშვილს, ლამარა, კუკური გაბიანებს დედის

ჟენია გელოვანის

გარდაცვალების გამო.

გულვერ საღინაძე, ბიძინა მანდარია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნუგზარ ბახსოლიანი, ნუკრი საღინაძე, ვალერი მუშკუდიანი, სოსო მუშკუდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გელა იონას ძე კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

№2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ იზო ბობოხიძეს სიძის

გივი ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინო კოპალიანს ბიძის

გივი ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ნოდარ გაბიანი, სულიკო ყურაშვილი, გურამ ლეშკაშელი, ავთო ლიპარტელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჟენია ასლანის ასული გელოვანი-გაბიანი.

ცაგერის საშუალო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ევგენია (ჟენია) ასლანის ასული გელოვანი.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ნინო კოპალიანს ბიძის

გივი ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

აქვსენტი, ალექსანდრე გოლეთიანები, თამაზ ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის XI კლასის მოსწავლეები, აღმზრდელი გულსუნდა ბურჯალიანი და კლასის ხელმძღვანელი გრიგოლ ბურჯალიანი თანაუგრძნობენ ლაშა ბურჯალიანს მამის

გივი ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

სანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჟენია, თინა ბობოხიძეებს მეუღლისა და სიძის

გივი ალექსის ძე ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ლევან ბურჯალიანი, გიგლა, როინ ფრუიძეები, ელგუჯა ჩადუნელი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

მედიკო, მალვინა, ლორინა სვანიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლერი საღინაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ვალერი, კახა ჩხეტიანები, ვალიკო გოლეთიანი, ვაჟა ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეზობლები გრიშა სილაგაძე, გენადი სვანიძე, გივი ბურჯალიანი, გელა კვენტაძე, ამირან გვიშიანი, მარიამ გოგებაშვილი, ბადრი გურგუჩიანი, თამაზ ბურჯალიანი, ჯემალ სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

აკაკი ბურჯალიანი, ომარ ასათიანი, აკაკი, გურგენ ჩაჩხიანები, თამაზ თვარაძე, შოთა მოწონელიძე, ასკალონ გოქაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

ცაგერის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ჟენია ბობოხიძეს მეუღლის

გივი ალექსის ძე ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

გურამ ბურჯალიანი, ამირან ჭანიშვილი, თამაზ ვარშანიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ბურჯალიანი

შილი ცაცა, მაზლისშვილები ნოდარ, ნარგიზა, იზო ყურაშვილები, რძალი მაგული, სიძეები როლანდ გელენიძე, გურამ ბობოხიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოლია ყურაშვილი

ზურაბ გურგუჩიანი, ბიძინა ბურჯალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ორბელის საშუალო სკოლის 1965 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი.

ლია, გია, გოგიტა, გურამ გოგებაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი.

ამირან, ტრისტან გვიშიანები, გივი ლობჟანიძე, გურამ ჩორგოლიანი, რუბენ ჩუბინიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მანანა საღინაძე, მზია ახვლედიანი, ზაირა, გურამ ყურაშვილები, დოდო თაგვაძე, აზა ზურაბიანი, ნანი ჩარკვიანი, პორფილე ჩხეტიანი, თამაზ საღინაძე, გელა გოგიძე, ანზორ ნემსაძე, ბადრი გულბანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჟენია ბობოხიძეს მეუღლის

გივი ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—23-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ! ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.